

## დუხოზორები

დუხოზორები და მალაკნები მიეკუთვნებიან იმ პირველ პროტესტანტებს, რომლებიც გამოვიდნენ მართმადიდებლობიდან და თავიანთი მიმდინარეობები ჩამოაყალიბეს ყოფილ რუსეთის იმპერიაში.

დუხოზორობა ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის 3 გუბერნიაში: ტამბოვის, ვორონეჟისა და ეკატერინოსლავის. დამაარსებლები - გლეხი სილუან კოლესნიკოვი, ვაჭარი ილარიონ პობიროხინი და გადამდგარი უნტეროფიცერი საველი კაპუსტინი.

რუსეთის მართმადიდებულ ეკლესიას გამოეყო 18 საუკუნის 50-80წლებში. ისინი „სულით მებრძოლი“-ს სახელით არიან ცნობილნი „Духоборы“.

დუხოზორები თავიანთ ისტორიას საეკლესიო ‘რასკოლით’ (სქიზმით, განხეთქილებით) იწყებენ ანუ 1666 წლიდან. ამ დროს რუსეთში სამოქალაქო ომიც იმიტომ გაჩაღდა, რომ ვერ გადაეწყვიტა ბიბლიის რომელი რედაქცია უნდა დაებეჭდათ - ძველი თუ ნიკონის კომისიისაგან ჩასწორებული. მორწმუნეთა ერთმა ნაწილმა ყურადღება იმ ჭეშმარიტებაზე გადაიტანა, რომ ცხოვნების წყარო არის არა ბიბლიის ტექსტი, არამედ შინაარსი. სწორედ ეს პოზიცია განავითარეს დუხოზორებმა და ბიბლიის ტექსტზე უარის თქმა თავიანთი კონფესიის ქვაკუთხედად აქციეს.

ისინი გამოირჩევიან: საღვთო წერილსა და საღვთისმსახურო წიგნებზე უარის თქმით, მოძღვრებისა და საღვთისმსახურო წესების ზეპირად გადაცემით, ადამიანის სულის ღვთის ნაწილად მიჩნევით, რეინკარნაციის რწმენით, პირველცოდვის მემკვიდრეობით გადაცემის არაღიარებითა და თეოლოგიურ სისტემაში სიმბოლოების სიჭარბით.

თავიანთ მოძღვრება მე-20ს. დასაწყისში ჩაიწერეს და „ცხოვრების წიგნი“ უწოდეს.

რუსეთის მეფის მთავრობამ დუხოზორები, როგორც ერეტიკოსები, ამიერკავკასიაში გადმოასახლა 1839-45წწ. ისინი სამხრეთ საქართველოში

დაასახლეს (ახალციხის მაზრა), ნაწილი კი - დმანისში. მათ 8 სოფელი დაარსეს: ტამბოვკა, ბოგდანოვკა, გორელოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, ეფიმოვკა, ტროიცოვკა, როდიონოვკა.

მეფის მთავრობასთან ურთიერთდამოკიდებულობის გაუარესობის გამო, 1899წ. მათი ნაწილი კანადაში გადასახლდა(7400 დუხობორი).

1989წ. დუხობორები რუსეთში დაბრუნდნენ - ტულის ოლქში.

ამჟამად საქართველოში მათი რიცხვი 500-ს არ აღემატება.

მალაკნები („სულიერი ქრისტიანები“) რუსეთში აღმოცენებული რელიგიური მოძრაობაა, დაარსა სემიონ უკლეინმა (18-19სს.).

სიტყვა „მალაკანს“ სხვადასხვანაირად განმარტავენ. ერთნი სთვლიან, რომ მარხვის დროს რძეს სვმდნენ, ე.ი. წარმოშობილია რუსულ სიტყვიდან „Молоко“. მეორენი კი ამ სახელს მდინარე მოლოჩნაიასთან აკავშირებენ, რომლის ნაპირებზე მალაკნები სახლობდნენ. თვითონ მალაკნები თავიანთ თავსა და მოძღვრებას „სუფთა სულიერ რძეს“ ადარებენ და თვლიან, რომ მათი თვითსახელწოდება დაფუძნებულია პეტრე მოციქულის სიტყვებზე თქვენ „როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სულიერი სუფთა რძე, რათა ამით გაიზარდოთ ხსნისათვის“(1 კორინთ. 3:2; ებრ. 5:12; 1 პეტრ. 2:2).

სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო სარწმუნოდ ის თვალსაზრისი ითვლება, რომლის თანახმადაც ეს სახელი მათ მართმადიდებლებმა შეარქვეს რადგან ისინი მარხვის დროს რძის ნაწარმს ჭამდნენ. ეს დამცინავი სახელი მათ მათმა ოპონენტებმა იმისთვის შეარქვეს, რომ ისინი უარს ამბობდნენ მაგარ სასმელზე. ამ სახელით ისინი სახელმწიფო აქტებშიც არიან მოხსენიებულნი.

ამ მოძრაობამ გამოიწვია რეპრესიები მათ მიმართ იმდროინდელ რუსეთში იმის გამო, რომ ისინი რუსეთის იმპერატორს ღვთისაგან ცხებულ მეფედ არ აღიარებდნენ, თუმცა მას მორჩილებას უცხადებდნენ, ისინი გამოირჩეოდნენ პაციფიზმით და ბევრნი არმიაში სამსახურზე უარს ამბობდა. 1830წ. ოქტომბრის უმაღლესი სამტავრობო

კრების დადგენილებით მალაკნები, ხატთამებრძოლები და სუბოტნიკები გამოცხადდნენ ქვეყნისა და ეკლესიის „განსაკუთრებით მავნე ერეტიკოსებად“ და დაიწყო მათი დეპარტაცია რუსეთიდან კავკასიაში, ციმბირში, ყირიმში. ნაწილი კი ამერიკაში და მექსიკაშიც გადასახლდა.

უკლეინის გარდაცვალების შემდეგ მალაკნებს შორის მოხდა განხეთქილება. ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმდინარეობა: პრესნიკები - მჟავე და მწარე საჭმელზე უარს ამბობდნენ, მათ შორის ხახვზე და ნიორზეც; ისაია კრილოვის მიმდევრები--მუხლმოდრეკითა და ურთიერთ ხელჩაკიდებულნი ლოცულობდნენ და ღვინოს სვამდნენ; „დონელი მალაკნები“- მართმადიდებლებთან სიახლოვეს იჩენდნენ, თავს „სახარებისეულ ქრისტიანებს“ უწოდებდნენ; კოლექტივისტები-- რომლებიც პირველ ქრისტიანების მსგავსად პირად საკუთრებაზე უარს ამბობდნენ; სუბოტნიკები- შაბათს, მოსეს რჯულისამებრ,შემნახავები; ვოსკრესნიკები- კვირის შემნახავნი.

მალაკნები აღიარებენ ბიბლიის ავტორიტეტს. მათი სარწმუნოება დაფუძნებულია ქრისტეს სიტყვებზე: “ ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“( იოანე 4:24). ქრისტიანთა ცხოვრება 10 მცნებასა და 9 ნეტარებას უნდა ეფუძნებოდეს. მოძღვრება და წეს-ჩვეულებები მოცემულია წიგნებში, რომელსაც „ობრიადნიკი“ ეწოდება. წყლით ნათლობას არ აღიარებენ.

კავკასიაში მალაკნების ძალდატანებითი და მასობრივი ჩამოსახლება მოხდა 1841-50წწ. მალაკნები საქართველოში თბილისსა და კახეთში დამკვიდრდნენ. თბილისელი მალაკნების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მალაკანთა თემის წინამძღვრის ვორონინისა და გერმანელ პასტორის კოლვეიტის შეხვედრას 1867წ. 20 აგვისტოს. მათ შორის კამათიმ შედეგად ვორონინმა აღიარა წყლით ნათლობა, მოინათლა და მალაკანთა ნაწილიც გაიყოლა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მალაკნების დიდი ნაწილი რუსეთში დაბრუნდა. საქართველოში დღეისათვის 1000-მდე მალაკანი

ცხოვრობს. ამჟამად მალაკნების 3 საზოგადოება მოქმედებს: ნავთლუღის, საბურთალოსა (სადაც პრაქტიკულად აღარავინ დარჩა-გარდაიცვალნენ) და ღრმაღელის, რომლებშიც 150-მდე მორწმუნეა დარჩა, ყველა ხანდაზმულები არიან.

თბილისში არსებობს ბაპტისტთა პატარა ჯგუფი, რომელსაც მალაკან-ბაპტისტებს ანდა სუხოი ბაპტისტებს ( მშრალ ბაპტისტებს) უწოდებენ. ეს არიან ის მალაკნები, რომლებიც ბაპტისტები გახდნენ, მაგრამ წყლით ნათლობა არ მიიღეს და მალაკანთა წეს-ჩვეულებებს იცავენ.